პროექტი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2018 წლის ---- ივლისი

ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 14/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილების მე-6 მუხლის 6.7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.7. ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა′ (ლსზ′):
ზონის ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები სახეობები:

• პარკები;
• ბაღები;
• სკვერები;
• ბულვარები;
• სანაპირო პლაჟები;
• დეკორატიული გაფორმების ობიექტები;
• მცირე არქიტექტურული ფორმები (საპარკო პავილიონები, როტონდები, კიოსკები, შადრევნები, დეკორატიული აუზები, წყლის სასმელები, კასკადები, არხები და სხვა);
• საწყალოსნო ობიექტები (ნავსადგომები, პირსები, ელინგები);
• გასახდელები, საშხაპეები, საზოგადოებრივი ტუალეტები;
• პლაჟის ინვენტარის ღია საწყობები;
• სამაშველო სამსახურის სადგურები;
• პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები.
• ბუნგალო და დროებითი, მსუბუქი (გრუნტთან არამყარად დაკავშირებული) კონსტრუქციის სხვა ობიექტები.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**